



წარმატებული საქმე

საიას დახმარებით შშმ პირმა შრომითი დავა მოიგო

საიას დახმარებით შშმ პირმა შრომითი დავა მოიგო

საია სასამართლოში იცავდა შშმ პირის ინტერესებს, რომელიც დამსაქმებელმა უკანონოდ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელე დასაქმებული იყო ა(ა)იპ "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრში" უმეტესწილად დარჩენილი შინაური ცხოველების იზოლაციის განყოფილების მუშის პოზიციაზე. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად დამსაქმებელი მიუთითებდა დასაქმებულის პირად განცხადებაზე, იმ პირობებში, რომ დასაქმებულს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ფიზიკურად არც შეეძლო მსგავსი განცხადების დაწერა. შესაბამისად, განცხადება, რომელიც საფუძვლად დაედო მისი გათავისუფლების ბრძანების გამოცემას, არ გამოხატავდა მის ნამდვილ ნებას.

საქმის განხილვისას სასამართლოში დადგენილი იქნა, რომ აღნიშნული განცხადება დაწერილი იყო სხვა პირის მიერ. შესაბამისად, დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბათილად იქნა ცნობილი, დასაქმებულმა კი, დარღვეული შრომითი უფლებების გამო შესაბამისი ფულადი კომპენსაცია მიიღო.

საქმეზე მუშაობდა საიას ოზურგეთის ოფისი.